2019 წლის 22 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაცია წარმოგიდგენთ ვორქშოპს ტრაფარეტული მხატვრობის შესახებ. ვორქშოფი გაიმართება 405 ც აუდიტორიაში 12 საათზე.

ტრაფარეტული მხატვრობა (სტენსილი) ურბანული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საინტერესო ფორმაა. დასავლურ ურბანულ ხელოვნებაში სტენსილი დროში გამოცდილ და აპრობირებულ სტილს წარმოადგენს. ქართულ საზოგადოებაში ქუჩის ხელოვნება ფეხს თანდათანობით იკიდებს და ხატვის ტრაფარეტული მეთოდით აქტუალური ხდება.

ვორქშოპის ფარგლებში დაინტერესებული პირები შეისწავლიან ტრაფარეტის (სტენსილის) დამზადების ეტაპებს. მომხსენებლები განიხილავენ ტრაფარეტის (სტენსილის) შექმნის შემდეგ ეტაპებს:

- ფოტოშოპის გამოყენებით საჭირო გამოსახულების შექმნის რამდენიმე მეთოდს, როგორც ერთ, ისე რამდენიმე შრიანი სტენსილის შემთხვევაში.
- მიღებული გამოსახულების საჭრელ მასალაზე გადატანის რამდენიმე მეთოდი.
- ტრაფარეტის (სტენსილის) ამოჭრა.
- დამზადებული ტრაფარეტის საშუალებით ნახატის სიბრტყეზე გადატანა.

ვორქშოპს გაუძღვებიან საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის წარმომადგენლები:

ვასილ შურაძე

ლუკა ჯაფარიძე

ლევან მიქელაძე

ვორქშოპზე დასწრების მსურველებმა თან უნდა იქონიონ საკუთარი საკანცელარიო დანა, მარკერი (სასურველია წვრილი თავით) ფანქარი ან ცანგი.

ტრაფარეტული მხატვრობის

ვორქშოპი

შაბათი 22 ივნისი 12:00 საათი

ავდიტორია 405C

საქართველოს
მეცნიერული
ინოვაციები

არქიტექტურის
ქალაქგეგმარების და
დიზაინის ფაკულტეტი

Hello
my name is

საქართველოს
ქუჩის ხელოვნების
ფედერაცია